

ტრანსგენდერი ადამიანების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის
უფლება ქართული და ევროპული კანონმდებლობისა და
სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

თამარი მარმალიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სა ხელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის*

მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თამარი მარმალიძე

28.06.2019

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება ტრანსგენდერი ადამიანების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს ქართულ და ევროპულ კანონმდებლობაში. ასევე ყურადღება გამახვილებულია საკითხზე, თუ როგორი ფორმით და ვის მიერ შეიძლება ხდებოდეს ხსენებულ უფლებაში ჩარევა, რა გავლენას ახდენს ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ შინაარსის ქმედებები და რაში მდგომარეობს მათი გადაჭრის გზა.

ნაშრომში გაანალიზებულია ევროპული სამართლებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესი ტრანსგენდერი ადამიანების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან მიმართებით. ასევე შესწავლილია თავად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არსი და ფარგლები.

დასკვნისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შესწავლილია ეროვნული სასამართლოსა და ევროპის ადამიანის უფლეთა სასამართლოს პრეცედენტები, რათა უკეთ წარმოჩენილიო კანონდარღვევათა მიზეზები და მათი გადაჭრის საუკეთესო გზა. ასევე ყურადღება გამახვილებულია ტრანსგენდერი ადამიანების უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგებსა და შეგროვებულ სტატისტიკურ მონაცემებზე.

ნაშრომი საშუალებას იძლევა, შემუშავდეს სამომავლო ღონისძიებები ქართული სამართლის განვითარებისა და თანამედროვე გამოწვევების შესაბამის პლათფორმაზე გადასაყვანად. ასევე გამოიკვეთება, თუ რომელი სახელმწიფო სტრუქტურების პასუხისმგებლობაა აღნიშნული პროცესის წარმართვა.